გ ა ნ ა ც ხ ა დ ი
2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი - საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა

2. **თემატიკა:**

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

მუნიციპალური სოციალური პროგრამების მონაწილეობითი დაგეგმვა, მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის ოფისი (USSCO)

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ფართობი–692 კვ.კმ), მისი დასავლეთი საზღვარი გაუყვება შავი ზღვის სანაპიროს (განმუხური, ანაკლია), ჩრდილო–დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო–აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სამხრეთით კი, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ესაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი სამეგრელო ზემო–სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ. ამასთან მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ ქ. ზუგდიდი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა

ადმინისტრაციული ცენტრი: **ზუგდიდი**

ადმინისტრაციული ერთეული – 53.
მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 339 კმ.

მოსახლეობა დევნილთა ჩათვლით – 161351
ქალაქის მოსახლეობა– 64571
სოფლების მოსახლეობა –96780

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ახორციელებს 70ზე მეტი მიმართულების ქვეპროგრამას, სერვისსა და პროექტს. პარალელურად, ყოველდღიურ რეჟიმში ხდება მოქალაქეებთან პირისპირი, ინდივიდუალური კომუნიკაცია, პრობლემებისა და საჭიროებების ადგილზე იდენტიფიცირების მიზნით, კომისიური გასვლები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში(53), ასევე სამოქალაქო სექტორისა თუ ინსტიტუციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. სისტემატიურად ხდება სხვადასხვა ორგანიზაციების/უწყებების მიერ ჩატარებული კვლევების გაცნობა, საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკის გაზიარება. ერთერთი (შიდა) ძლიერი მხარეს წარმოადგენს კვალიფიციური კადრები, რომელთაც აქვთ დაგეგმვის; დროის მართვის; კომუნიკაციის უნარი, როგორც მოქალაქეებთან, ასევე, საზოგადოებრივ/ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და საპროტოკოლო საკითხთა განყოფილება, სოციალური დაცვის მუნიციპალური პროექტებისთვის ჩვენ ვცდილობთ, ჩვენი რესურსებით მოვიძიოთ დამატებითი ფონდები, გრანტები. დონორი ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში გვიკავშირდებიან ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის მეშვეობით, რაც თავის მხრივ მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებს.

ძლიერ ფაქტორად მიგვაჩნია, სოციალური დაცვის საკითხებში სამოქალაქო სექტორის, საინიციატივო ჯგუფების, თემის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შექმნილი გარემო, რომელიც იძლევა თვითმმართველობასთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს. ასევე, ძლიერ მხარეს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მზაობა - დახვეწოს არსებული პროგრამები/სერვისები, გამოწვევებზე საპასუხოდ მოახდინოს აქტუალური, ინოვაციური მიმართულებების ინიცირება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საკმაოდ აქტიურად ოპერირებენ ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები. მათთან თანამშრომლობით განხორციელდა არაერთი მდგრადი მუნიციპალური სერვისი.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში(53-ვე ადმინ. ერთეული) მობილობის შეზღუდვის მქონე 250მდე პირი ცხოვრობს. მნიშვნელოვანი გამოწვევას წარმოადგენს მათი საზოგადოებაში ინტეგრირების, საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობის მიმართულება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გააჩნია მუნიციპალური ტრანსპორტი - 40 ერთეული ადაპტირებული ავტობუსი, რომლითაც სარგებლობენ ეტლით მოსარგებლე პირები. ბუნებრივია, მუნიციპალურ ტრანსპორტს აქვს მოძრაობის გეგმა-გრაფიკი და კონკრეტულ ლოკაციებზე გაჩერებები - ეს კი ხშირ შემთხვევაში არ არის მოსახერხებელი მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გააჩნია მუნიციპალური ტრანსპორტი - 40 ერთეული ადაპტირებული ავტობუსი, რომლითაც სარგებლობენ ეტლით მოსარგებლე პირები. ბუნებრივია, მუნიციპალურ ტრანსპორტს აქვს მოძრაობის გეგმა-გრაფიკი და კონკრეტულ ლოკაციებზე გაჩერებები - ეს კი ხშირ შემთხვევაში არ არის მოსახერხებელი მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა - ***თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი - საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა,*** ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის სახელმწიფო და სამედიცინო სერვისების მიღების მიზნით მობილობაში დახმარების გაწევასა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობას.

2020 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო მოლაპარაკება აშშ-ს საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურთან, რომელიც ითვალისწინებდა ადაპტირებული ტექნიკის მიღებას მობილობა შეზღუდული პირებისთვის სერვისის განსახორციელებლად.

2022 წელს, საელჩოსგან 3 ადაპტირებული მიკროავტობუსი (Ford Transit KombiM1 350L (L3H2) Trend (VIN: WF0KXXTTRKNT13470 ს/ნ: SO001CI; WF0KXXTTRKNT13414 ს/ნ: SO002CI; WF0KXXTTRKNU52467 ს/ნ: SO003CI) საჩუქრად გადაეცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის სახელმწიფო და სამედიცინო სერვისების მისაღებად, მობილობაში დახმარების გაწევისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ 2023 წლიდან დანერგა უნიკალური სოციალური პროგრამა - **თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის (საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა).**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მობილობის შეზღუდვის მქონე პირებს დღეს უკვე აქვთ შესაძლებლობა დარეკონ ცხელ ხაზზე (+995 599 80 58 35) და მიიღონ ადაპტირებული, კომფორტული ტრანსპორტის მომსახურება.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

არსებული გამოწვევის საპასუხოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილებამ ჩაატარა სერვისის დასანერგად [მოსამზადებელი სამუშაოები:](#)

1. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოკვლეულ იქნა მობილობა შეზღუდული პირების ბაზა;**
2. **ჩატარდა 3 ფოკუსჯგუფი დაინტერესებულ მხარეებთან:**
   [შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები](#), [ადგილობრივი განვითარების ჯგუფის აღმასრულებელი საბჭო და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები.](#)
3. **განისაზღვრა სერვისის განხორციელების სტრუქტურა და პარამეტრები;**
   განსაზღვრული იქნა სერვისის მიმწოდებელთა ლოკაციები და მომსახურების წესი.
4. **შერჩეული კადრები გადამზადდნენ შემდეგი მიმართულებებით:**
   - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ზუგდიდის ფილიალი - **პირველი გადაუდებელი დახმარება;**
   - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია "დეა" - **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის ეთიკა და რჩევები შშმ პირებთან ურთიერთობისას**.
   - სოციალური დაცვის განყოფილება - **ინსტრუქტაჟი, ტექნიკური საკითხის პრაქტიკული გაცნობა.**

თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის (საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა) ამოქმედებისათვის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა თანხა საწვავის ფონდისა და პერსონალისთვის. დასაქმდა 4 მოქალაქე: 3 პროფესიონალი მძღოლი და ოპერატორი. მათ შესარჩევად შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების გარდა, გახლდათ შშმ პირთა და ტრანსპორტირების საკითხებზე მომუშავე პირები. აღსანიშნავია ისიც, რომ მძღოლების შერჩევისას მხედველობაში მიღებულ იქნა შშმ პირებთან კომუნიკაციის გამოცდილება, ხოლო ოპერატორად შეირჩა შშმ პირი.

ამუშავდა ცხელი ხაზი, რომლის შესახებ, სერვისის დაწყებამდე, გავრცელდა ინფორმაცია საზოგადოებაში. პირველ რიგში, ჩატარდა [საინფორმაციო შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან](#). მათ დაურიგდათ ცხელი ხაზის ნომრები:

ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი

საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა

ცხელი ხაზი: +995 599 80 58 35

დამატებითი ინფორმაცია:
+995 555 65 00 50

სოციალური დაცვისა და გენდერული
თანასწორობის განყოფილება

თავისუფალი გადაადგილების სერვისით სარგებლობა შეუძლიათ ზუგდიდის

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ/მცხოვრებ:

- ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ან არ მქონე პირებს;
- კიდურის ამპუტაციით განპირობებული, გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებს;
- მხედველობის არ მქონე პირებს.

სერვისის გაწევის არეალი

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია სერვისის გაწევას ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც მოიცავს 53 ადმინისტრაციულ ერთეულს.
- სერვისის გაწევის ფარგლებში, შესაძლო ვიზიტის ადგილებია:

ა) სახელმწიფო დაწესებულებები:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაცია;
- იუსტიციის სახლი/საჯარო რეესტრი;
- შემოსავლების სამსახური;
- დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადგილობრივი ორგაოები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დაწესებულება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში;
- სამეგრელო–ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი;
- ზუგდიდის რაიონული სასამართლო;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა;

ბ) სამედიცინო დაწესებულებები:

- სარეაბილიტაციო ცენტრები;

გ) საბანკო და საფინანსო დაწესებულებები;

დ)კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რაც მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სპორტულ და კულტურულ და საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს;

ე) სხვადასხვა სახის ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები განმახორციელებელი ორგანიზაციის განცხადების საფუძველზე.

ვ) ოკუპირებული ტერიტორიიდან, სოფ. რუხში მდებარე საგუშაგოდან ბენეფიციარების მომსახურება სასურველი სერვისის მისაღებად.

ზ) ზუგდიდის რკინიგზისა და საქალაქთაშორისო ავტოსადგურები.

- განსაკუთრებული შემთხვევებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ აუცილებელი სერვისის მიწოდების საჭიროებისას, გადაადგილების საკითხს განიხილავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი მოქალაქეთა სოციალური დახმარების თაობაზე შემოსული განცხადებებისა და მომართვების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობისა და პირობების შესწავლის მიზნით შექმნილი კომისია.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

N	აქტივობა	თარიღი
1	მოლაპარაკებები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და აშშ-ს საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურს შორის	2020 წ.
2	3 ადაპტირებული მიკროავტობუსის საჩუქრად გადაცემა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის	2022 წ.
3	თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის (საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა) დანერგვისათვის მოსამზადებელი აქტივობები: • ბაზის მოკვლევა; • ფოკუსჯგუფებთან (3) შეხვედრა; • პერსონალის შერჩევა; • პერსონალის გადამზადება; • ცხელი ხაზის ამოქმედება; • საინფორმაციო შეხვედრები.	იანვარი-მაისი 2023 წ.
4	თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის (საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა) პირველი გასვლა/პრეზენტაცია.	2 ივნისი 2023წ.
5	თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი	2 ივნისი 2023წ.-დღემდე
6	თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის (საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა) მონიტორინგი.	2 ივნისი 2023წ.-დღემდე

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები,

განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

- ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №5 2023 წლის 20 იანვარი;***
- ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/ მცხოვრები გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობის წესის დამტკიცების თაობაზე;***
- ***ჩუქების ხელშეკრულება.***

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

მუნიციპალური სოციალური დაცვის პროგრამა - თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი შეიქმნა ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით.

მოსამზადებელ პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, შესაბამის სამსახურებთან ერთად გამართეს ფოკუსჯგუფები:

- პირველი ფოკუსჯგუფი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მომუშავე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული სერვისის დეტალები
- მეორე ფოკუსჯგუფი - ზუგდიდის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის - ზუგდიდი LAG-ის (რომელიც შედგება სამი სექტორისგან: საჯარო, კერძო და სამოქალაქო) აღმასრულებელ საბჭოს წევრებთან,
- მესამე ფოკუსჯგუფი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. ფოკუსჯგუფის შეხვედრაშივე ჩატარდა გამოკითხვა თუ რამდენად ადაპტირებულია მათი დაწესებულებები ეტლით მოსარგებლეთათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსამზადებელ პერიოდში სერვისის პროექტი განხილულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოზე.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა გამოირჩევა სოციალური დაცვის ინოვაციური პროგრამებითა და სერვისებით, რაც თავისთავად განაპირობებს მეტი ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებას.

თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის განსახორციელებლად უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენდა ადაპტირებული მიკროავტობუსები, რომლებიც 2 წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, აშშ-ს საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის მიერ საჩუქრად გადაეცა (სულ-3, 1 ერთეულის ფასი 69,034.00 USD) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.

შემდეგ ეტაპზე განხორციელდა კვალიფიციური კადრების მოძიება და გადამზადება. მუნიციპალური ბიუჯეტიდან კი გამოიყო თანხა კადრების შრომითი ანაზღაურებისა და მიკროავტობუსების საწვავის ფონდისთვის.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

სერვისის დანერგვის პროცესში, გარკვეული ტიპის მცირე პრობლემებმა იჩინეს თავი, რადგან სერვისი გახლავთ უნიკალური და საქართველოს მასშტაბით არცერთ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა. თუმცა, შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, კონსულტაციებით ყველა სახის შეფერხება აღმოიფხვრა და სერვისის დანერგვა.გეგმის მიხედვით განხორციელდა

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, შ.პ.ს ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი, ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის ოფისი (USSCO)

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

პროექტის წარმატება განაპირობა გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და შესაბამისი სამსახურის მიერ თავიდანვე დანახულმა საჭიროებამ შექმნილიყო მუნიციპალიტეტში მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის სოციალური დაცვის სერვისი. წარმატებით განხოციელების წინაპირობა გახლდათ მოპოვებული მნიშვნელოვანი რესურსი (მიკროავტობუსები).

5. **მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:**

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დანერგილმა სოციალური დაცვის სერვისმა მოქალაქეთა მომსახურებიდან პირველივე დღეებში მოიპოვა დადებითი შეფასებები.

5 თვის მანძილზე განხორციელდა 385 ვიზიტი. ჯამში ორი გზა - 770.ამ დროის მანძილზე დაფიქსირდა 23 სხვადასხვა ლოკაცია, მათ შორის 4 ვიზიტი განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ (ქუთაისი, ბაკურიანი, ბათუმი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი მოქალაქეთა სოციალური დახმარების თაობაზე შემოსული განცხადებებისა და მომართვების საფუძველზე, სოციალური

2023 წლის 5 თვის მონაცემი		
N	**ვიზიტების რაოდენობა თვეების მიხედვით**	**გასვლის რაოდენობის ჯამი**
1	ივნისი	**98**
2	ივლისი	**62**
3	აგვისტო	**79**
4	სექტემბერი	**77**
5	ოქტომბერი	**69**
ჯამი		**385**

მდგომარეობისა და პირობების შესწავლის მიზნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით.

დაწესებულებები

1	თბილისის ქ. 3 სარეაბილიტაციო ცენტრი "თანაზიარი"
2	აღმაშენებლის ქუჩა, სოციალური სააგენტო
3	რუსთაველის N90 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
4	რუსთაველის ქ. 87. უსინათლოთა კავშირი
5	ენელაის კლინიკა
6	რეფერალური საავადმყოფო
7	ზედაეწერი, პოლიციის განყოფილება
8	ქუთაისი, ევექსის ჰოსპიტლები ონკოცენტრი
9	ბაკურიანი, დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი და ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის ტრენინგი (USAID)
10	იუსტიციის სახლი
11	მცხეთის ქ. 17 ბაიას ბაზა, საცურაო აუზი
12	ჭითაწყარის რეფერალური საავადმყოფო
13	ენგურის ხიდი, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი.
14	თბილისი, კრწანისის ქ.#12. კლინიკა ნიუ-ჰოსპიტალი.
15	თაბუკაშვილის ქ. მეორე შესახვევი. ხანდაზმულთა დღის ცენტრი.
16	რუხის ხანდაზმულთა თავშესაფარი
17	კ. გამსახურდიას #119. ლიბერთი ბანკი
18	კ. გამსახურდიას 2-ჩიხი. #2 დევნილთა პოლიკლინიკა
19	ლაზის ქ. #18. ზუგდიდის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი.
20	შალვა დადიანის სახელობის თეატრი (ალიანსის გვერდით)
21	ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი
22	კედიას ქუჩა (მამაკაცთა სალონი)
23	ოპტიმუმი

6. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;

ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;

გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

სერვისის დანერგვამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაკეთდა უკვე არსებული მუნიციპალური პროგრამების/მომსახურებების ანალიზი. ჩატარდა ადგილობრივ დონეზე საჭიროებათა კვლევა. მოქალაქეებთან მუდმივმა ეფექტურმა კომუნიკაციამ, სერვისის სისტემატურმა მონიტორინგმა/შეფასებამ განაპირობა მისი წარმატებული განხორციელება.

აღნიშნული სერვისი არის ინოვაციური, მორგებული სამიზნე მოწყვლადი ჯგუფის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხელს უწყობს მათ სოციალიზაციას, რაც დასტურდება მოქალაქეთა პოზიტიური უკუკავშირით, ეფექტური ფსიქო-ემოციური და სოციალური მხარდაჭერით (მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ „მხოლოდ ფილმში უნახავთ მსგავსი რამ“).

თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი ხორციელდება წარმატებით, რაც საფუძველია იმისა, რომ ის გაგრძელდება 2024 წელსაც.

7. **საკრებულოს როლი:**

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას/ფრაქციებს, განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის პროგრამები. სოციალური პროექტების დაფინანსება/თანადადაფინანსების საკითხებზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

8. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისთან დაკავშირებით მომავალ წელს, იგეგმება პროგრამის მოსარგებლეების კიდევ უფრო აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა კულტურულ, საგანმანათლებლო და რეკრეაციულ აქტივობებში(სანაპირო, ქვიშის თერაპია).

9. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

  გოგი რევია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. ტელ: 595322402 gogirevia@gmail.com

თამარ ჩიქავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი. ტელ: 555650050 tamarachikava@gmail.com

10. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №5 2023 წლის 20 იანვარი;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/ მცხოვრები გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობის წესის დამტკიცების თაობაზე;*
- *ჩუქების ხელშეკრულება.*
- https://www.facebook.com/watch/?v=1104731047061426
- https://m.facebook.com/zugdidi.gov.ge/videos/985226319142870?_rdr
- https://www.facebook.com/watch/?v=985226319142870
- https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid0xFbGMtVD89EVuYaneQ3HjDbAE5K6omT71pEeJs35WCMewLKPqph5yDncDyGuscsrl
- https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid0NqSVANr1BtGmYtxt4KZWf6aiZuTDQkHU6uwAtj1WpaY1Avz98freKodWrkVbaGGal
- https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid02JdaATMyzsCkW5ndM8rt8DssMBnxYMSxGJFXmJfZM93UTKdzvpHdmy2HApm7FiYU4l

განაცხადის მიღების ვადაა 2023 წლის 10 ოქტომბერი- 17 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge